



ბიზნესის სკოლა (ESM)

პროგრამის სახელწოდება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მაგისტრი ფინანსებში

სწავლების მოცულობა კრედიტებით

120 ECTS

სწავლების ენა

ქართული

სამაგისტრო პროგრამის მიზანი

საფინანსო დისციპლინების დამატებითი და სპეციფიური ცოდნის მიღება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამ სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისათვის. საფინანსო მოდელები რთულდება და რეგულაციები უფრო მრავალსპექტიანი ხდება.

საგანმანათლებლო პროდუქტების მოთხოვნაზე დაკვირვებით, აბიტურიენტების, ბაკალავრიატის სტუდენტების, კარიერის დასაწყისში მყოფი პროფესიონალების და მაგისტრანტების საჭიროებებსა და მოლოდინებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ მათი ინტერესები ფინანსების დისციპლინების მიმართ მზარდია და სულ უფრო სპეციფიური ხდება.

ისინი აცნობიერებენ, რომ ფინანსების, მისი მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების ცოდნა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და მოთხოვნადია ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალებისათვის.

თავისუფალი უნივერსიტეტის, სამაგისტრო პროგრამის ფინანსებში მიზანია მაგისტრანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ გაიღრმავონ საფინანსო დისციპლინების თეორიული ცოდნა, ასევე გაუმჯობესდეთ კონტექსტის შეფასების უნარები, რაღა უფრო გამართულად უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს.

შესაძლო დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გააგრძელებენ მუშაობას უფრო მაღალი თანრიგის/რანგის მენეჯერებად და ბიზნეს-ანალიტიკოსებად/კონსულტანტებად უკეთესი კარიერული წინსვლის პერსპექტივით.

შემდგომ ორგანიზაციების და პროექტების ფინანსური ნაწილის მართვას და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. შემდგომ იყვნენ მთავარი საფინანსო მენეჯერები (CFO).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვებიან მსურველები ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შიდა ტესტირების შედეგების საფუძველზე.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები (კომპეტენციები)

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

- აქვს საკუთარი თავის მართვის, ემოციებისა და ქმედებების მართვის უნარი
- აქვს პერსონალის მოტივირებისა და მართვის უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირების და ამოცანების დასმის უნარი
- პრობლემებისა და ამოცანების პრიორიტიზირების უნარი
- აქვს საკუთარი და თანამშრომლების დროის მართვის უნარი
- იცის ლიდერობის პიროვნული საფუძვლები და საკომუნიკაციო ინსტრუმენტები
- ჯგუფში მუშაობისა და გუნდის მართვის უნარი
- კარგად ფლობს მათემატიკური და საფინანსო ანალიზის მეთოდებსა და ტექნიკებს
- შეუძლია აქტუალურ ეკონომიკურ და საფინანსო საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა

დარგობრივი კომპეტენციები

- აქვს საფინანსო დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა
- შეუძლია საბაზრო და საფინანსო პროცესებზე დაკვირვება, ახსნა, ანალიზი, პროგნოზი
- ფლობს სათანადო ტექნიკებსა და ინფორმაციას იმისათვის, რომ შეძლოს კომპანიის და პროექტების ფინანსური საკითხების შეფასება, გადაწყვეტა და მათდამი შემოქმედებითი მიდგომა

მიღწეული შედეგები სამაგისტრო პროგრამით ფინანსებში შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს.

ცოდნა და გაცნობიერება

- ეცოდინება საფინანსო ინფორმაციის აღქმის, მომზადების წესები, მეთოდები და მიდგომები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
- სრულფასოვნად ეცოდინება ბიზნესში წარმოქმნილი საფინანსო დანახარჯების სტრუქტურები
- სიღრმისეულად ეცოდინება სხვადასხვა ტიპის ბიზნესის ბიუჯეტირების პროცესი
- გაცნობიერებული ექნება საფინანსო გარიგებების ტიპოლოგია და ბუნება
- გაცნობიერებული ექნება საფინანსო ინვესტიციების არსი, ტიპოლოგია და ბუნება
- ეცოდინება საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები
- ეცოდინება კომპანიის შეფასების მეთოდები
- ეცოდინება ფინანსური ბაზრების სტრუქტურა და მუშაობის პრინციპები
- ეცოდინება კვლევის სხვადასხვა მეთოდი

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეეძლება ფინანსურ ანგარიშგების მომზადება და ამ პროცესის მართვა
- შეეძლება ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მიღება
- შეეძლება ხარჯთაღრიცხვის მომზადება
- შეეძლება ხარჯთაღრიცხვაზე დაყრდნობით სწორი ტაქტიკური თუ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება
- შეეძლება საოპერაციო და საფინანსო ბიუჯეტის შედგენა და ანალიზი
- შეეძლება ბიუჯეტირების პროცესში გადაწყვეტილებების მიღება
- შეეძლება კომპანიის ფინანსური ანალიზის ჩატარება და ამ პროცესის მართვა
- შეეძლება კომპანიის ღირებულების გაზრდაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება
- შეეძლება საინვესტიციო პროექტის შეფასება
- შეეძლება კომპანიის შეფასება და შესაბამისი პროცესის მართვა
- შეეძლება საინვესტიციო, თუ საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღება
- შეეძლება დაფინანსების ფორმების შერჩევა და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის დაგეგმვა
- შეეძლება ფინანსური გარიგებების დაგეგმვა და წარმართვა

- შეეძლება საფინანსო სფეროსათვის დამახასიათებელი რეგულატორული პრობლემების იდენტიფიცირება, პრევენცია და მარეგულირებელ საკითხებზე ადეკვატური რეაგირება
- შეეძლება საგადასახადო რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი პროცესების წარმართვა
- შეეძლება ორგანიზაციაში არსებული პროცესების ანალიზი საფინანსო კუთხით და მასში კონტროლის პროცესების დანერგვა
- შეეძლება სტატისტიკური მეთოდების პრაქტიკულ ამოცანებში გამოყენება
- შეეძლება კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამოყენება
- შეეძლება ბიზნესის ამოცანების Excel-ში მოდელირება

დასკვნის უნარი

- შეეძლება სტატისტიკური მოდელების შექმნა და არსებული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა მათი მეშვეობით
- შეეძლება საფინანსო პროცესების დინამიკის ახსნა, გრაფიკული პრეზენტაცია და მათი ანალიზი
- შეეძლება ბაზარზე ფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორების ცვლილებებზე დაკვირვება, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ანალიზი
- შეეძლება სტანდარტული ტიპის პროგრამული პაკეტების გამოყენებით მათემატიკური და საფინანსო ანალიზი
- შეეძლება საინვესტიციო რისკების შეფასება
- შეეძლება ხარჯთაღრიცხვის მომზადება და სხვადასხვა სისტემების ანალიზი
- შეეძლება ფინანსური სტრატეგიის დაგეგმვაში მონაწილეობა და წარმატებულობის შეფასება
- შეეძლება მიღებული შედეგების გაანალიზება და შესაბამისი სტატისტიკური დასკვნების გაკეთება
- შეეძლება მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების ბაზრის ანალიზისა და საფინანსო გადაწყვეტილებებისათვის გამოყენება
- შეეძლება ფინანსური რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და შესაბამისი გადაწყვეტილებებისათვის მათი გამოყენება

კომუნიკაციის უნარი

- ეცოდინება პრეზენტაციის და კომუნიკაციის პრინციპები
- შეეძლება კვლევის შედეგების პრეზენტირება
- შეეძლება გუნდში მუშაობა და მისი მართვა

- შეეძლება ფინანსურ გარიგებებზე კომუნიკაციის წარმართვა
- შეეძლება საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე კომუნიკაციის წარმართვა
- შეეძლება ინვესტორებთან კომუნიკაცია
- ეცოდინება პრეზენტაციის ეფექტური წარმართვის ტექნიკები

სწავლის უნარი

- შეეძლება სწავლისა და ცოდნის მუდმივად განახლება
- შეეძლება შესაბამისი რესურსებისა და წყაროების მოძიება

ღირებულებები

- გაცნობიერებული ექნება თავისუფალი ბაზრის იდეები
- გააზრებული ექნება საკუთრების უფლების პრიმატის პრინციპი
- გაზიარებული ექნება ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს
- დააფასებს განსხვავებებსა და კულტურულ მრავალფეროვნებას
- გაცნობიერებული ექნება პროფესიული პასუხისმგებლობა
- გაცნობიერებული და გაზიარებული ექნება ბიზეს- და კორპორატიული ეთიკის პრინციპებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდი

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, წიგნზე მუშაობის მეთოდი; ვერბალური მეთოდი; თანამშრომლობითი სწავლება; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევების შესწავლა (Case study); როლური და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვა.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და წერილი გამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, ქეისის წერილი გარჩევა, ქეისებზე დისკუსია, ანგარიშები და სხვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და მიიღო ერთ-ერთი დადებითი შეფასება.

არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)	
მოდული I 26 ECTS	მოდული II 18 ECTS
მოდული III 25 ECTS	მოდული IV 8 ECTS
არჩევითი საგნები 13 ECTS	სადიპლომო პროექტი 30 ECTS
ჯამში: 120 ECTS	

დეტალური სასწავლო გეგმა და საგნების აღწერები იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.